სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

45964372394911

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N110111042

რეგისტრაციის თარიღი

08.02.2011 წ

ნოტარიუსი: ეკატერინე მარშანია
მისამართი: თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. 45 მე-3 სართული
ტელეფონი: 8(22) 14 00 77 ; 8(74) 44 45 49

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 66 19 18

სანოტარო აქტი

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ორიათას თერთმეტი წლის რვა თებერვალს მე, ეკატერინე მარშანიას, ნოტარიუსს ქ.თბილისში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისიმართზე: ქ.თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №45, მე-3 სართულზე, მომმართა **მამუკა კონიაშვილმა** (შემდგომში „ მიმნდობი“), რომელმაც განაცხადა, რომ არის **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა “დელისი 2007”-ს თავმჯდომარე /თანახმად ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა “დელისი 2007”-ს დებულებისა, რომელიც დამოწმებულია 07.12.2006წ. სანოტარო აქტით რ-№1-13095 ნოტარიუსი მაია ბრეგვაძის მიერ** / და სურს **აივენგო დემეტრაძისათვის** უფლებამოსილების მინიჭება, შესაბამისი მინდობილობის შედგენა და მინდობილობის სანოტარო წესით დადასტურება. მე დავადგინე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამადასტურებელი საბუთით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად მომმართა **მამუკა კონიაშვილმა** (დაბადებული 16.05.1967წ, თბილისში ა/მ №ა 1001133 ა/№01017002201 გაცემული 06.11.2006წ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მთაწმინდა-კრწანისის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №41)

მე დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა, შევამოწმე მისი უფლებამოსილება, ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონდა. მე, ნოტარიუსმა ეკატერინე მარშანიამ, შევადგინე მინდობილობა, წავუკითხე, განვუმარტე **მამუკა კონიაშვილს** მისი შინაარსი და მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგები. მან წაიკითხა და განაცხადა, რომ ტექსტი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგაც ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი წინამდებარე მინდობილობას:

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

ორიათას თერთმეტი წლის რვა თებერვალს **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა “დელისი 2007”-ს თავმჯდომარემ მამუკა კონიაშვილმა,** წინამდებარე მინდობილობით მოქ. **აივენგო დემეტრაძეს** (დაბადებული 07.05.1948წ, ადიგენში ა/მ №გ 0727839 ა/№01009008462 გაცემული 13.06.2005წ ვაკის საპასპორტო და მოსახლეობის რეგისტრაციის სამსახურის მიერ, რეგისტრირებული მისამართზე: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზირი №52, ბინა 25) შემდგომში „მინდობილი პირი“, მიანიჭა შემდეგი უფლებამოსილება:

1. **აივენგო დემეტრაძე** უფლებამოსილია წარმოადგინოს **ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა “დელისი 2007”-ს** ინტერესები, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, ნებისმიერ ორგანიზაცია დაწესებულებაში, მათ შორის, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოში, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს სარეგისტრაციო სამსახურში, ქ. თბილისის სასამართლოს ნებისმიერ ინსტანციაში, ქალაქის მერიაში, გამგეობაში, საკრებულოში, უძრავი ქონების აზომვით სამსახურებში, სს”თელასში”, სს “ჯაზგაზტრანსში”, წყალკანალში “GWP”, საგადასახადო ინსპექციაში, მიიღოს ნებისმიერი სახის ინფორმაცია, ცნობა მოწმობა, ამონაწერი, თუ დოკუმენტი. ამასთან დაკავშირებით აწარმოოს მოლაპარაკება ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან, დადოს ხელშეკრულებები, კონტრაქტები, ყველა შემთხვევაში განსაზღვროს ყველა პირობა.

2) “მინდობილი პირი“ ვალდებულია წინამდებარე მიდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება განახორციელოს კეთილსინდისიერად. “მინდობილი პირი“ ვალდებულია ამ მინდობილობით მინდობილი მოქმედებები შეასრულოს პირადად და ხელი მოაწეროს ყველა საჭირო დოკუმენტს.

3) წინამდებარე მიდობილობა გაცემულია განუსაზღვრელი ვადით და ძალაშია მის გაუქმებამდე. მიდობილობა შეიძლება შეწყდეს ნებისმიერ დროს. შეწყვეტა უნდა გაფორმდეს სანოტარო წესით. აღნიშნული მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად ერთი ინახება სანოტარო ბიუროში ხოლო დანარჩენი გადაეცათ მხარეებს.

მინდობილობას თან ერთვის ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა “დელისი 2007”-ს დებულების ასლი.

„მიმნდობი“ _____

ნოტარიუსის საზღაური: სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის ნოტარიუსის საზღაურის შესახებ საქართველოს კანონი 11 ივნისი 1998 წ. №1417 II ს მუხლი 29,8 – ათი ლარი და ელექტრონულ რეესტრში რეგისტრაციისათვის ორი ლარი.

ნოტარიუსი _____ **ეკატერინე მარშანია**

ქალაქ თბილისის მერი

1719

განკარგულება №_____

"_____" _____ 2009 წ.

17 ნოემბერი

ქალაქ თბილისის მერის 2009 წლის 19 ოქტომბრის №1487 განკარგულებაშიტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 63-ე მუხლისა და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2009 წლის 29 ოქტომბრის სხდომის №34 ოქმის შესაბამისად,

1. „ქ. თბილისში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქ. თბილისის მერის 2009 წლის 19 ოქტომბრის №1487 განკარგულების სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ქ. თბილისში, დელისის მე-3 ქუჩა №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ"

2. „ქ. თბილისში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ" ქ. თბილისის მერის 2009 წლის 19 ოქტომბრის №1487 განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ქ. თბილისში, დელისის მე-3 ქუჩა №7-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ2=3.3."

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს მ. ავალიანს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ქალაქ თბილისის მერიის საქმის წარმოების სამსახური

ქ. თბილისი 0160, ჯ. შარტავას ქუჩა №7, ტელ.: (+995 32) 378123, ფაქსი: (+995 32) 378154

ქალაქ თბილისის მერი

1487

განკარგულება №_____

"19" ოქტომბერი 2009 წ.

ქ. თბილისში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ

„საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ნ" ქვეპუნქტის, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების თაობაზე" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების 25-ე, 26-ე მუხლებისა და ქალაქ თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიის 2009 წლის 15 ოქტომბრის სხდომის №32 ოქმის შესაბამისად:

1. ქ. თბილისში, დელისის ქ. №3-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობისთვის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ2) გადამეტების მიზნით, გაიცეს სპეციალური (ზონალური) შეთანხმება საპროექტო წინადადებით, წარმოდგენილი პარამეტრების შესაბამისად და განისაზღვროს კ2=3.3.

2. სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის მოსაკრებელი გადახდევინებულ იქნეს "ადგილობრივი მოსაკრებლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის, 122-ე მუხლისა და "ქალაქ თბილისის ტერიტორიებზე სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის მოსაკრებლის განაკვეთების განსაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 29.06.07 №7-41 გადაწყვეტილების შესაბამისად.

3. დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს: შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას, გაითვალისწინოს კომისიის რეკომენდაციები.

4. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის უფროსს მ. ავალიანს.

5. წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შესაძლებელია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6), გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

გიორგი უგულავა

20.06.11 № 1217354 7.13

თბილისის არქიტექტურა №

მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/1517-1

ნებართვის გაცემის თარიღი „20" 06 2011 წ.
მშენებლობის დაწყების თარიღი 22 ივნისი 2011 წ.
ნებართვა ძალაშია 22 ივნისი 2012 წ.

დამკვეთი — იბა „დელისი 2007"
(დასახელება)

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
(დასახელება, ფუნქციური დანიშნულება)

ქ. თბილისი, (სექტორი ვაკე) დელისის მე-3 ქუჩა №7 (ნაკვ. №001/119)
(მისამართი / ადგილმდებარეობა)

სარეგისტრაციო №882010540346 26.03.10; საკადასტრო № 01/14/15/001/119
(მიწის ნაკვეთის საკადასტრო ნომერი)

პროექტი შეთანხმებულია — ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (ქ. შარტავას ქ. №7)
(შემთანხმებელი ორგანიზაციის დასახელება, მისამართი)

ნებართვა გაიცა — ქ. თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ (ქ. შარტავას ქ. №7)
(ნებართვის გამცემი ორგანოს დასახელება, მისამართი)

ბრძანება № 01/1435, 20.06 2011 წ.

ნებართვაზე ხელმომწერი პირი: კ. ნიაური
(სახელი, გვარი)

III – IV კლასის შენობა-ნაგებობების სანებართვო განყოფილების უფროსი
(თანამდებობა)

ბ. ა.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ქ. შარტავას 7
ტელ. [+995 32] 72 22 22 ფაქს. [+995 32] 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

თბილისის არქიტექტურა

ბრძანება № 01/1435

" 20 " 06 2011

შინაარსი: ქ. თბილისში, (სექტორი ვაკე) დელისის მე-3 ქუჩა №7-ში, იბა „დელისი 2007“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №001/119), მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ.

დამკვეთი – იბა „დელისი 2007“
ავტორი – ა. მიქუჭაძე, კ. მორჩილაძე

საფუძველი:
- განცხადება №12/73547-13, 16.06.11 წ.
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა სარეგისტრაციო №882010540346 26.03.10; საკადასტრო № 01/14/15/001/119
- ქალაქმშენებლობითი პირობები №ბ-1/164, 04.01.07წ.
- ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 24.04.07 წლის ბრძანება №03/383 პროექტის შეთანხმების შესახებ. 07.07.07 წლის ბრძანება №6/593 მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ და მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/593-1
- ქ. თბილისის მერის 2009 წლის 19 ოქტომბრის №1487 განკარგულება, სპეციალური ზონალური შეთანხმების გაცემის შესახებ და ქ. თბილისის მერის 2009 წლის 17 ნოემბრის №1719 განკარგულება, მასში ტექნიკური შეცდომის გასწორების შესახებ.
- ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 01.03.10 წლის ბრძანება №01/421 კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ და მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/455-1;
- იბა „დელისი-2007“-ის 23.03.10 წლის კრების ოქმი, რეგისტრაციის ნომერი №100302470 31.03.10წ
- ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 10.03.11 წლის ბრძანება №01/432 კორექტირებული არქიტექტურული პროექტის შეთანხმების შესახებ.
- ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის 29.04.11 წლის №000634 დადგენილება სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.
- ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 17.05.11 წლის №6/1098 ბრძანება, მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ და მშენებლობის სანებართვო მოწმობა №6/1098-1

IV კლასის შენობა (რისკის მაღალი ფაქტორით)

მიწის ნაკვეთის ფართი	–	856.00 მ²
მოშენების ფართი	–	302.90 მ²
საერთო ფართი	–	2702.50 მ²
მათ შორის:		
- საცხოვრებელი ფართი	–	1980.90 მ²
- კომერციული ფართი	–	20.70 მ²
- საოფისე ფართი	–	46.10 მ²
- საზაფხულო ფართი	–	196.20 მ²
- კიბის უჯრედის ფართი	–	249.50 მ²
- ავტოსადგომის ფართი	–	161.40 მ²
- სარდაფის ფართი	–	16.50 მ²
- დამხმარე სათავსის ფართი	–	25.20 მ²
- ტექნიკური სათავსის ფართი	–	6.00 მ²
სამშენებლო მოცულობა	–	8633.52 მ³

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-100 მუხლის და საქართველოს მთავრობის 11.08.2005 წლის №140-ე დადგენილებისა

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7
ტელ.|+995 32| 72 22 22 ფაქს.|+995 32| 37 82 24
architect@tbilisi.gov.ge
urban.tbilisi.gov.ge
უფრო მეტი - tbilisi.gov.ge/architect

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შეთანხმდეს ქ. თბილისი, (სექტორი ვაკე) დელისის მე-3 ქუჩა №7-ში, იბა „დელისი 2007“-ის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ. №001/119), მშენებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი.
2. გაიცეს მშენებლობის ნებართვა და სანებართვო მოწმობა.
3. მშენებლობის ვადა განისაზღვროს: 2011 წლის 22 ივნისიდან 2012 წლის 22 ივნისის ჩათვლით
4. წინამდებარე ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: ჟ. შარტავას ქ. №7) ერთი თვის ვადაში.

– მშენებლობის ეტაპები: ბლოკის წყობა; შელესვა, შეღებვა; საინჟინრო ქსელების მოწყობა; ბრტყელი გადახურვის მოწყობა; სამშენებლო სამუშაოების დასრულება; ტერიტორიის კეთილმოწყობა.
– სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის თითოეული ეტაპის დასრულებისას ნებართვის მფლობელი ვალდებულია, შეადგინოს მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმი სამშენებლო მოედანზე წარმოებული სამუშაოების დათვალიერებისა და სანებართვო პირობებთან შესაბამისობის დადგენის საფუძველზე.
– მშენებლობის ეტაპის დასრულების შესახებ ოქმს ხელს აწერენ დამკვეთი და მენარდე ან/და მათი საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი.
– შედგენილი ოქმი სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით უნდა წარედგინოს შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარებაზე უფლებამოსილ შესაბამის ორგანოს და მხოლოდ ამ ორგანოში რეგისტრაციის შემდეგ წარმოადგენს იგი იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტს.
– მშენებლობის ეტაპის დასრულების ოქმის შედგენის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება ოქმის შემდგენელს.
– ოქმის შეუდგენლობა ან ოქმში არასწორი მონაცემების შეტანა გამოიწვევს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას.
– დამკვეთი ვალდებულია III, IV კლასების ახალი მშენებლობისა და შენობა-ნაგებობის რეკონსტრუქციის შემთხვევაში, მშენებლობის ნებართვის ვადის გასვლიდან 6 თვის ვადაში შენობა-ნაგებობა წარადგინოს უფლებამოსილ ორგანოში ვარგისად აღიარებისათვის.
– მშენებლობის დამთავრების შემდეგ ობიექტი მიღებულ იქნას ექსპლუატაციაში კანონმდებლობით დადგენილი წესით.

III – IV კლასის შენობა-ნაგებობების
სანებართვო განყოფილების უფროსი



კ. ნიაური

მშენებლობის ეტაპები:

- ბლოკის წყობა;
- შელესვა, შელებვა;
- საინჟინრო ქსელების მოწყობა;
- ბრტყელი გადახურვის მოწყობა;
- სამშენებლო სამუშაოების დასრულება;
- ტერიტორიის კეთილმოწყობა.